N 3 3-32-4-202307071518
07.07.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ცალკეულ საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში - კათედრებზე ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის 1-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“, ,,დ“, ,,ე“ და ,,თ“ ქვეპუნქტების, უნივერისტეტის წესდების 21-ე მუხლის ,,ა“, ,,დ“, და ,,კ“ ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, მედიცინის ფაკულტეტის დებულების მე-7 მუხლის მე-5 - მე-9 პუნქტების, მე-13 მუხლის ,,ა“, ,,დ“, ,,ე“ და ,,თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.2023 წლის 10 **ივლისს** დაინიშნოს მედიცინის ფაკულტეტის: **საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის კათედრა; ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრა; კლინიკური ქირურგიის კათედრა -I; ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრა**. კათედრებზე ფაკულტეტის საბჭოს თითო წევრის (თითოეული კათედრიდან თითო წევრი) არჩევნები.
2.არჩევნების დადგენილი წესით ჩატარება და არჩევნების შედეგების არჩევნების ჩატარებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენა დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კათედრებს.
3.ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის (მათ შორის შესაბამისი კათედრებისათვის) გადაცემა დაევალოს კანცელარიას.
4.ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კანცელარიას.
5.ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
ხელმოწერა,
თამარი რუხაძე

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
ადმინისტრაცია